როდესაც რომელიმე თქვენგანი აიღებს აბდესს და ჩაიცვამს ტყავის წინდებს, ილოცოს მათში და სველი ხელით შეიწმინდოს მათი ზედაპირი (აბდესის დროს). არ უნდა გაიხადოს ისინი, თუ თვითონ არ მოისურვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გახდება ჯუნუბის მდგომარეობაში

ანას ბინ მალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც რომელიმე თქვენგანი აიღებს აბდესს და ჩაიცვამს ტყავის წინდებს, ილოცოს მათში და სველი ხელით შეიწმინდოს მათი ზედაპირი (აბდესის დროს). არ უნდა გაიხადოს ისინი, თუ თვითონ არ მოისურვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გახდება ჯუნუბის მდგომარეობაში».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-დაარაყუტნიმ]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ თუ მუსლიმმა აბდესის მიღების შემდეგ ჩაიცვა ტყავის წინდები და შემდეგ დაკარგა აბდესი, და შემდეგ როცა მისი განახლება მოისურვა, ნებადართულია წინდების შეწმენდა აბდესის დროს. მას შეუძლია ილოცოს მათში, წინდების გახდის გარეშე, დადგენილი დროის განმავლობაში. თუმცა, თუ ის დიდ რიტუალურ უწმინდურებაში (ჯანაბაში) აღმოჩნდება, მაშინ საჭიროა წინდების გახდა და სრული განბანვის შესრულება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/8392

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee